საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 5 21 00021959

23/06/2021

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2021 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, შემდეგი გარემოების გამო:

როგორც თქვენთვისაა ცნობილი, 2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ვითარება 2020 წლის 30 იანვარს საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა. აღნიშნული დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით 2020 წლის 21 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და დაწესდა ცალკეული შეზღუდვები, ასევე ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო დაავადების გავრცელების პრევენციას. უნდა აღნიშნოს, რომ 2021 წლის გაზაფხულიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, შეზღუდვები ეტაპობრივად შემსუბუქდა. შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით მომზადდა კანონპროექტები, რომლებითაც ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლდებიან პირები, რომელთაც დაარღვიეს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაავადების გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმები. ასევე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებმაც ჩაიდინეს კოვიდრეგულაციების დარღვევისთვის გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაულები.

ვინაიდან, კანონპროექტების შემუშავების აუცილებლობა დადგა საკანონმდებლო გეგმის საქართველოს პარლამენტში გაგზავნის შემდგომ, მათი ხსენებულ გეგმაში ასახვა ვერ მოხდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი